



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

დევნილთა სტატისტიკა სტატუსის ჩამორთმევის, შეწყვეტისა და შემოსავლების მიხედვით

ანალიზი მომზადებულია პროექტის - „საზოგადოების გაძლიერება კარგი მართვლობის ხელშეწყობისთვის“ - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას



Kingdom of the Netherlands

ძირითადი მიგნებები

- 2014-2017 წლებში დევნილის სტატუსი ჯამში 1,232 ადამიანს ჩამოერთვა. ამ მხრივ ყველაზე მაღალი რიცხვი 2015 წელს დაფიქსირდა - 625;
- 2014-2017 წლებში ჯამში ლტოლვილის სტატუსი 26,752 ადამიანს შეუწყდა. ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის ყველაზე ხშირი მიზეზი 2014 წელს სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელი იყო;
- დევნილებს დევნილის სტატუსი სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო ყველაზე მეტჯერ 2016 წელს შეუწყდათ;
- 2014 წელს სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელი გამო დევნილის სტატუსი შეუწყდა 17,177 პირს, თუმცა მომდევნო წლებში 5,5667 პირმა აღიდგინა სტატუსი;
- რეგისტრირებულ 277,403 დევნილს შორის მხოლოდ 3.4 %-ის, 9,474 პირის ყოველთვიური შემოსავალი აღემატება 1,250 ლარს;
- თბილისში მცხოვრები დევნილების მხოლოდ 5,5%-ს (5942 დევნილი) აქვს 1 250 ლარზე მეტი ყოველთვიური შემოსავალი, რაც საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

შესავალი


საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დევნილად დარეგისტრირებულია 277,403 ადამიანი. დევნილთა უფლებები და მათ მიმართ სახელმწიფოს ვალდებულებები მნიშვნელოვანწილად ასახულია [„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“](#) საქართველოს კანონში. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს როგორც დევნილის სტატუსის მინიჭების, ისე შეწყვეტისა და დევნილის შემწეობის შეჩერების საფუძვლებს.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, IDFI-მ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014-2017 წლებში ჩამორთმეული და შეწყვეტილი დევნილის სტატუსის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოთხოვნით მიმართა. IDFI-მ ასევე მოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია იმ დევნილთა შესახებ, რომელთა თვიური შემოსავალი 1,250 ლარს აღემატება. სამინისტრომ კვლევის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაცია IDFI-ის სრულყოფილად მიაწოდა.

2014-2017 წლებში დევნილის სტატუსის ჩამორთმევის სტატისტიკა

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირისათვის დევნილის სტატუსის შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლები. უფრო ზუსტად, ამ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პირს დევნილის სტატუსი ჩამორთმევა, თუ მან ეს სტატუსი ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიიღო.“

[სტატისტიკური მონაცემების](#) თანახმად, 2014-2017 წლებში დევნილის სტატუსი ჯამში 1,232 ადამიანს ჩამოერთვა. ამ მხრივ ყველაზე მაღალი რიცხვი 2015 წელს დაფიქსირდა -625. (იხილეთ სურათი #1).




2014-2017 წლებში დევნილის სტატუსის შეწყვეტის სტატისტიკა

როგორც აღვნიშნეთ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირისათვის დევნილის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებიც. სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია ამ მუხლში მოცემული საფუძვლებიდან მოიცავს შემდეგს -პირისათვის დევნილის სტატუსის შეწყვეტას სხვა ქვეყნის

მოქალაქეობის მიღების, სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობისა და გარდაცვალების გამო.


სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2014-2017 წლებში ჯამში ლტოლვილის სტატუსი 26,752 ადამიანს შეუწყდა. ყველაზე ხშირად ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის მიზეზი კი სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობა იყო.



დევნილის სტატუსი სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობის გამო დევნილებს 2014 წელს შეუწყდათ (იხ. სურათი #4). თუმცა, როგორც ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილ [წერილშია](#) მითითებული, „შემდეგი 3 წლის განმავლობაში ამ პირებს ჰქონდათ საშუალება აღედგინათ სტატუსი და ამჟამად, ზემოაღნიშული რაოდენობიდან, დევნილის სტატუსი აღდგენილი აქვს 5,567 პირს.“ შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის დევნილის სტატუსი რეგისტრაციის გაუვლელობის გამო შეწყვეტილი აქვს 11,610 პირს.

რაც შეეხება დევნილის სტატუსის შეწყვეტას სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო, ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა, ხოლო გარდაცვალების გამო ყველაზე მეტ პირს დევნილის სტატუსი 2014 წელს შეუწყდა.

სურათი #3 - 2014-2017 წლებში დევნილის სტატუსის სხვადასხვა საფუძვლით შეწყვეტის სტატისტიკა




დევნილები, რომელთა თვიური შემოსავალი აღემატება 1,250 ლარს

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, პირისათვის დევნილის შემწეობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია, თუ „დევნილის დასაბეგრი შემოსავალი თვეში 1,250 ლარს ან მეტს შეადგენს, რაც დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი მონაცემებით.“

IDFI-მ დაამუშავა სტატისტიკური მონაცემები იმ დევნილთა რაოდენობის შესახებ, რომელთა თვიური შემოსავალიც აღემატება 1,250 ლარს. 2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულ 277,403 დევნილს შორის მხოლოდ 3.4 %-ის, 9,474 პირის ყოველთვიური შემოსავალი აღემატება 1,250 ლარს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი დევნილი თბილისში ცხოვრობს - 107,757 (იხ. სურათი #4). ასევე პროცენტულად რეგიონებში მცხოვრები დევნილებისაგან განსხვავებით, თბილისში მცხოვრებ უფრო მეტ დევნილს აქვს 1,250 ლარზე მეტი შემოსავალი. უფრო ზუსტად, თბილისში მცხოვრები 107,757 დევნილიდან მხოლოდ 5,942-ს - 5.5 %-ს აქვს 1,250 ლარზე მეტი ყოველთვიური შემოსავალი (იხ. სურათი #5). ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები დევნილების შემთხვევაში დაფიქსირდა. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები 2,467 დევნილიდან 1,250 ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 1.4 %-ს - 35 ადამიანს აქვს.



დევნილების განაწილება რეგიონების და შემოსავლების მიხედვით			
რეგიონი	ოჯახი	დევნილი	დევნილთა რაოდენობა, რომელთა თვიური შემოსავალიც აღემატება 1250 ლარს
აჭარა	2296	6904	220
გურია	174	529	10
თბილისი	36565	107757	5942
იმერეთი	8651	26828	494
კახეთი	495	1564	37
მცხეთა-მთიანეთი	3526	11352	397
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	291	748	18
სამეგრელო-ზემო სვანეთი	26705	88074	1381
სამცხე-ჯავახეთი	939	2467	35
ქვემო-ქართლი	4405	13494	439
შიდა-ქართლი	5299	17686	501
სულ	89346	277403	9474